ნდობისა და ვალდებულების პრობლემა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში

შესავალი

1980-იანი წლების მიწურულიდან, ქართულ-ოსური კონფლიქტი საქართველოს ტრავმული წარსულის ნაწილი გახდა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ცხოვრებაზე. დღემდე, სიღრმისეულად არ არის გააზრებული მომხდარი კონფლიქტის მიზეზები, რაც ხელს უშლის წარსულის გადააზრების და გამოსავლის ძიების პროცესს. ქართველებსა და ოსებს შორის მჭიდრო ურთიერთობების მიუხედავად, კონფლიქტი მაინც გაღვივდა, რითაც ის ჰგავს იგივე პერიოდის სხვა კონფლიქტებს ყოფილ კომუნისტურ სივრცეში, როდესაც ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც მანამდე მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ, ძალადობრივად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ისმის კითხვა: რამ გამოიწვია ქართულ-ოსური ურთიერთობების გაუარესება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ეთნიკური ჯგუფების, როგორც აქტორების ორმხრივი ქმედებების ანალიზი, რაც გავლენას ახდენდა ურთიერთობის დინამიკაზე. მოცემულ ესეში გამოყენებულია "ვალდებულების პრობლემის" თეორიული მოდელი, რომელიც 1980-იანი წლების მიწურულიდან აღმოცენებული ნდობისა და ვალდებულების დეფიციტის პირობებში, ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტილებების ფონზე ხსნის კონფლიქტის გამწვავების მიზეზებს.

ეთნიკური კონფლიქტი, როგორც ნდობის და ვალდებულების პრობლემა

კითხვა, თუ რამ გამოიწვია ქართულ-ოსური ურთიერთობების გაუარესება 1980-იანი წლების მიწურულს, როდესაც ცხადი გახდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გზაზე იდგა, დღემდე არ კარგავს მნიშვნელობას. თანაც იმ პირობებში, რომ ოსი მოსახლეობის ინტეგრაციის ხარისხი ქართულ საზოგადოებაში კონფლიქტამდე საკმაოდ მაღალი იყო[1] და დაყოფა - „ჩვენ" და „ისინი" აქტუალური არ ყოფილა.

ეთნიკური კონფლიქტების ანალიზში გამოიყოფა ე.წ ინსტრუმენტული მიდგომა, რომელიც ეთნიკურ ხაზებზე მობილიზებას განიხილავს როგორც ეთნიკური ჯგუფის პასუხს პოლიტიკური ცვლილებების მიმართ გარემოში.[2] ცვლილებების პირობებში, მომავალთან მიმართებაში გაურკვევლობა იჩენს თავს. თუ არსებობს აღქმა, რომ შეცვლილ გარემოში არ იარსებებს უსაფრთხოების გარანტიები, ეთნიკურმა ჯგუფებმა, როგორც აქტორებმა, შესაძლოა დაიწყონ

[1] გიორგი სორდია, „ოსები საქართველოში. მდგომარეობა 2008 წლის ომის შემდეგ", უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი, 2009, გვ 12

[2] Ted Robert Gurr, "Why Minorities Rebel: A Global Analysis of Communal Mobilization and Conflict since 1945", International Political Science Review, 1993, p 167

ქმედებები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ჯგუფების მხრიდან ურთიერთსაწინააღმდეგოდ შეიძლება იქნას აღქმული.[3]

1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ ნათელი გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის გარდაუვალობა. შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში ეთნიკურ უმცირესობასა და უმრავლესობას თავიდან უნდა ესწავლათ თანაცხოვრება, თუმცა ეს მარტივი არ აღმოჩნდა. როგორც ქართული, ასევე ოსური მხარე მკვეთრად კონცენტრირდა საკუთარ ინტერესებზე და შემცირდა თანამშრომლობა. ამ ფონზე, ქართულ-ოსურ ურთიერთობებში გაჩნდა ე.წ „ვალდებულების პრობლემა“. ეს არის ვითარება, როდესაც უმრავლესობას უჭირს ვალდებულება აიღოს უმცირესობის ინტერესების დაცვაზე. უმცირესობა კი არ ენდობა უმრავლესობას, რომ ახალ სახელმწიფოში ის მის საზიანო პოლიტიკას არ გაატარებს. თუ უმრავლესობას და უმცირესობას შორის წარმოიქმნება ნდობის კრიზისი, ამან შეიძლება უბიძგოს უმცირესობას რადიკალიზაციისკენ, თუ ის თვლის რომ ეს გრძელვადიან სარგებელს მოუტანს.[4] ამ შემთხვევაში არ განვიხილავთ რამდენად მომგებიანი ან წამგებიანი შეიძლება იყოს უმცირესობის არჩევანი. არამედ, გარემოებებს, რომელთაც შეუძლიათ ახსნან ეთნიკურ ხაზებზე სწრაფი მობილიზაციის პროცესი.

ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტილებები და ეთნიკური პოლარიზაცია[5]

ცვალებადი პოლიტიკური ვითარების ფონზე, ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვანია ორმხრივი გადაწყვეტილებები, რაც განსაზღვრავს წარმოიქმნება თუ არა ნდობის კრიზისი და რა მიმართულებით წარიმართება პროცესი. 1989 წლიდან ქართულ-ოსური ურთიერთობები ძალიან ჰგავდა ურთიერსაპირისპირო გადაწყვეტილებების ომს. გადაწყვეტილებათა ჯაჭვი გრძელია, თუმცა იმის აღსაქმელად თუ რა დინამიკა იყო ურთიერთნდობის გაუარესების მიმართულებით, ანალიზისთვის შეიძლება გამოიყოს სამი საკვანძო საკითხი, რომელსაც ორმხრივი ნდობის დაკარგვაზე და ეთნიკური მობილიზაციის პროცესის გააქტიურებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეეძლო.

ქართული ენის საკითხი: ერთ-ერთი პირველი დილემის მიზეზი ორმხრივ ურთიერთობებში ქართული ენის საკითხი გახდა. 1989 წლის 15 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გულისხმობდა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის განსაზღვრას და დაცვას. დადგენილების მიხედვით,

[3] Stuart J. Kaufman, “An 'International' Theory of Inter-Ethnic War”, Review of International Studies, 1996, p 150-152

[4] James D. Fearon, “Ethnic War as a Commitment Problem”, Stanford University, 1995, p 6-10

[5] ესეს მოცემულ ნაწილში ქრონოლოგიური მონაცემები მოყვანილია ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივის (1977-2008) მიხედვით https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-tis-droit-i-crp-ivi-1977-2008--746R3FMiftYruKBSnkEUAodd

რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლება სავალდებულო ხდებოდა.[6] როგორც ჩანს, სამხრეთ ოსეთში ეს ჯგუფური იდენტობისთვის და პოლიტიკური თვითმყოფადობისთვის საფრთხედ აღიქვეს. 4 სექტემბერს მიღებულ იქნა საპასუხო დადგენილება ოსური ენის განვითარების პროგრამის შესახებ, რომლის მიხედვითაც ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენებად ცხადდებოდა ოსური, ქართული და რუსული.[7] პარტიულ, ადმინისტრაციულ, სასწავლო და სხვა დაწესებულებებში უნდა გამოეყენებინათ ოსური ენა. აღნიშნულ საკითხსვე დაუკავშირდა გამოსვლები ადამონ ნიხასის ორგანიზებით.[8] იდენტობის ამ მნიშვნელოვან ატრიბუტთან დაკავშირებული საკითხის საფუძველშივე დარეგულირება საჭირო იყო საფრთხეებთან დაკავშირებული აღქმების გასანეიტრალებლად სამხრეთ ოსეთში, თუმცა შემდგომი განვითარება ცხადყოფს, რომ მხარეები ნაკლებად იყვნენ კონცენტრირებულნი დიალოგზე.

ავტონომიის სტატუსის ცვლილება და მარში ცხინვალისკენ: ეთნიკურ ხაზებზე მობილიზაციის პროცესის გააქტიურებაში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა ორ მოვლენას. კერძოდ, 1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭომ პირველად მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ და თანხმობა ითხოვა ქართული მხარისგან. თუმცა, 16 ნოემბერს ქართულმა მხარემ ის გააუქმა. 23 ნოემბერს ეროვნული მოძრაობის ლიდერების წინამძღოლობით ცხინვალისკენ მარში მოეწყო, რომელშიც 15 000-მდე ქართველი მონაწილეობდა. დაძაბული ვითარების ფონზე, სამხრეთ ოსეთში ეს ძალის დემონსტრირებად იქნა აღქმული, რასაც ცხინვალის მისადგომებთან დაპირისპირება და მსხვერპლი მოჰყვა. ტრაგიკული მოვლენები ორივე მხარის მიერ საჭიროებდა შესაბამის შეფასებას და რეაგირებას შემდგომი ესკალაციის თავიდან ასაცილებლად. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, 1990 წლის 10 აგვისტოს სამხრეთ ოსეთში მიღებული დადგენილებით[9] მოითხოვებოდა კიდეც შესაბამისი შეფასება და გარანტიები, რომ მომავალში მსგავსი მოვლენები აღარ განმეორდებოდა. გარანტიების საკითხი მნიშვნელოვანი იყო, რადგან ეთნიკური უმცირესობის რადიკალიზაციის თავიდან ასაცილებლად, ეთნიკურმა უმრავლესობამ უნდა

---

[6] ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. გაზეთი „კომუნისტი“, N196, 25 აგვისტო, 1989. https://assets.sutori.com/user-uploads/image/3e14e20c-ca67-4938-b9d1-1dd1d64c046b/d1998727d0093d61cfde8bc15cd4833f.jpeg https://assets.sutori.com/user-uploads/image/5aa0c371-13b3-44ba-bd65-e2557718d784/f1014ae2e85af46ca45e99687136dcc2.jpeg

[7] სახელმწიფო პროგრამა ოსური ენის განვითარების შესახებ. გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, N170, 5 სექტემბერი, 1989. https://assets.sutori.com/user-uploads/image/c05e511a-a959-4143-b26a-14bec26c1eb3/55c3c1cc84fcffbc1998fc671c3686d6.jpeg

[8] 1988 წელს შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც შემდეგ სეპარატისტული განწყობების დასაყრდენი გახდა

[9] იხ. დადგენილება „რთული ვითარების დროს საბჭოთა სამართალდამცავების და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ“http://isnc.ge/index.php/site/document_detail/1/11 http://isnc.ge/index.php/site/document_detail/1/13

აიღოს ვალდებულება უმცირესობის უსაფრთხოების დაცვაზე. უმცირესობის მხრიდან კი მნიშვნელოვანია უმრავლესობის მიერ აღებული ვალდებულების ნდობა. აღნიშნულს შეუძლია დიდი როლი შეასრულოს ეთნიკური ომის თავიდან აცილებაში.[10] თუმცა, ორივე მიმართულებით მნიშვნელოვანი დეფიციტი არსებობდა.

არჩევნების საკითხი და ავტონომიის გაუქმება: 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში უზენაესი საბჭოს არჩევნებს, რომელმაც დაასრულა საბჭოთა პარტიის მმართველობა, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამ ბოიკოტი გამოუცხადა. ამის წინაპირობა იყო ზაფხულში მიღებული გადაწყვეტილება, რომ რეგიონალურ პარტიებს არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალებოდათ, რაც სამხრეთ ოსეთში ადამონ ნიხასის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად აღიქვეს. საპასუხოდ, 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ სამხრეთ ოსეთი კიდევ ერთხელ გამოაცხადა რესპუბლიკად და დეკემბერში ცალკე არჩევნები დანიშნა. 8 დეკემბერს ქართული მხარის მიმართვის მიუხედავად, რომ მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღო,[11] მომდევნო დღეს ის მაინც ჩატარდა. 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ არჩევნები ბათილად გამოაცხადა და გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.[12] საკამათოა, რამდენად სწორი იყო აღნიშნული გადაწყვეტილება ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ ავტონომიასთან მიმართებაში, სადაც შეცვლილი ვითარების ფონზე, ისედაც იკვეთებოდა გაურკვევლობა თუ შიში ახალ სახელმწიფოში ჯგუფური უსაფრთხოების ირგვლივ. მოწინააღმდეგის პოზიციიდან გადადგმულ ნაბიჯებს მეტად შეეძლო უარყოფითი აღქმების გაღრმავება, რაც შეუქცევად ეთნიკურ პოლარიზაციას ხშირად უწყობს ხელს. ურთიერსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა ჯაჭვმა და დიალოგისთვის მზაობის ნაკლებობამ, ნახსენები უკანასკნელი მოვლენის შემდგომ კონფლიქტი ძალადობრივ ფაზამდე მალევე მიიყვანა. ცხადია, ამ და შემდგომ პროცესში მნიშვნელოვანი იყო რუსეთის, როგორც მესამე მხარის როლი, თუმცა აღნიშნული ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1980-იანი წლების მიწურულს პოლიტიკური ცვლილებების ფონზე საქართველოში, ქართულ-ოსური ურთიერთობების გაუარესებაზე გავლენა იქონია ნდობისა და ვალდებულების

[10] James D. Fearon, "Ethnic War as a Commitment Problem", Stanford University, 1995, p 3

[11] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა სამხრეთ ოსეთის ავონომიური ოლქის მოსახლეობისადმი, გაზეთი „აფხაზეთის ხმა", N234, 8 დეკემბერი, 1990 https://assets.sutori.com/user-uploads/image/fe37a9a0-365a-481a-8f46-3c27edfd306d/decc4cb899923ac9a5217fb01068b0c4.jpeg

[12] საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 12 დეკემბერი, 1990, გვ 1 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/7493/1/SakartvelosRespublika_1990_N05-06.pdf

პრობლემამ. უმრავლესობის მხრიდან ძალისხმევის ნაკლებობამ უმცირესობის ინტერესების გააზრებისთვის, ასევე უმცირესობის უნდობლობამ უმრავლესობის მიმართ გამოიწვია მხოლოდ საკუთარი ინტერესების გადმოსახედიდან ქმედებები, რამაც გაართულა თანამშრომლობა ახალ გარემოში მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის. ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებმა გააღვივა ნეგატიური ურთიერთაღქმები და ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა კონფლიქტის ესკალაციისთვის. ცხადია, ქართულ-ოსურ კონფლიქტს გააჩნდა დამატებითი განზომილებებიც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ კონფლიქტის შემდგომი სიღრმისეული კვლევის საჭიროებას.

გამოყენებული ლიტერატურა

სორდია, გ., *„ოსები საქართველოში. მდგომარეობა 2008 წლის ომის შემდეგ“.* უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი, 2009

Fearon, J. D., *„Ethnic War as a Commitment Problem“.* Stanford University, 1995

Gurr, T. R., *„Why Minorities Rebel: A Global Analysis of Communal Mobilization and Conflict since 1945”.* International Political Science Review, 1993

Kaufman, S. J., *“An 'International' Theory of Inter-Ethnic War”.* Review of International Studies, 1996

გაზეთი „კომუნისტი“, N196, 25 აგვისტო, 1989. https://assets.sutori.com/user-uploads/image/3e14e20c-ca67-4938-b9d1-1dd1d64c046b/d1998727d0093d61cfde8bc15cd4833f.jpeg

გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, N170, 5 სექტემბერი, 1989. https://assets.sutori.com/user-uploads/image/c05e511a-a959-4143-b26a-14bec26c1eb3/55c3c1cc84fcffbc1998fc671c3686d6.jpeg

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 12 დეკემბერი, 1990 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/7493/1/SakartvelosRespublika_1990_N05-06.pdf

გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, N234, 8 დეკემბერი, 1990 https://assets.sutori.com/user-uploads/image/fe37a9a0-365a-481a-8f46-3c27edfd306d/decc4cb899923ac9a5217fb01068b0c4.jpeg

გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, N160, 23 აგვისტო 1990 http://isnc.ge/index.php/site/document_detail/1/11 http://isnc.ge/index.php/site/document_detail/1/13

ნაშრომი შეიქმნა ნაციონალიზმისა და კონფლიქტის კვლევის ინსტიტუტის ინიციატივით განხორციელებული პროექტის „ქართულ - ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის" ფარგლებში მოძიებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით

ავტორი: ნინო ჩანადირი